

ზესტაფონი



ზესტაფონის მუნიციპალიტეტის

2021-2024 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტის დოკუმენტი

2021 წელი

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

მდებარეობა

ფართობი

გეოგრაფია

მმართველობის ორგანოები

მოსახლეობა

ეკონომიკა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

საჯარო დაწესებულებები

ღირშესანიშნაობები

ბიუჯეტი

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ბიუჯეტის ბალანსი

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2019-2024 წლებში

შემოსულობები

გადასახდელები

არაფინანსური აქტივების ზრდა;

ფინანსური აქტივების ზრდა

ვალდებულებების კლება

2019-2020 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2019 წლის ბიუჯეტის შესრულება

2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

2021 წელში მოსალოდნელი ინფრასტრუქტურული პროექტები

თავი III. XXXXXX მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

ინფრასტრუქტურის განვითარება

დასუფთავება და გარემოს დაცვა

განათლება

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

1. ზოგადი ინფორმაცია ზესტაფონის შესახებ

ისტორია

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი - თვითმმართველი ერთეული იმერეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1930 წლამდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში. წყაროებში პირველად მოიხსენიება XVI საუკუნის 60-იან წლებში. სახელწოდება "ზესტაფონი", გადმოცემის თანახმად, მომდინარეობს ზედა ფონისაგან (მდ. ყვირილაზე). XIX საუკუნის 20-იან წლებში აქ იყო კაზაკთა ჯარის პოსტი - ყვირილის პოსტი და ზესტაფონსაც ყვირილა დაერქვა. თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ აქ ვაგზლის შენობა ააშენეს, იმატა მოსახლეობამ. ქალაქად გამოცხადდა 1926 წელს. XX საუკუნის 20-იან წლებში მცირე ხნის მანძილზე ქალაქი ატარებდა რევოლუციონერ ჯუღელის სახელს და შემდეგ დაიბრუნა ისტორიული სახელწოდება. ზესტაფონის სწრაფი ტემპებით ზრდა დაკავშირებულია ფეროშენადნობთა ქარხნის ექსპლუატაციაში გაშვებასთან. საწარმოს ამუშავებამ ქალაქი აქცია საქართველოს ერთ-ერთ ინდუსტრიულ ცენტრად. ზესტაფონი გახლავთ ერთ-ერთი ცენტრი მეღვინეობა-მევენახეობის დარგის საქართველოში. ციცქა და ცოლიკაური-ს ჯიშის ყურძნებისაგან დამზადებული ღვინოები სახელგანთქმულია მთელ მსოფლიოში და მრავალჯერ იქნა მინიჭებული სხვადასხვა სახის ჯილდოები. ზესტაფონის რაიონში მრავალი ისტორიული ძეგლია, კერძოდ: ზედა საქარის XI- ე საუკუნის, ტაბაკინის VI- ე საუკუნის, წვეის XI- ე საუკუნის, სანახშირისა და სხვა ეკლესიები, ადრინდელი შუა საუკუნეების ციხესიმაგრეები შროშაში და შორაპანში. შორაპანი (SARAPANIS) გახლავთ ის ტოპონიმი, რომელზედაც მოგვიტოვებდა ძველბერძნული მითოლოგია. სწორედ შორაპანამდე მოაღწიეს იასონმა და მისმა არგონავტ-მა მეგობრებმა ძველ კოლხეთში მოგზაურობისას. 2007 წლიდან ზესტაფონის მუნიციპალიტეტი.

მდებარეობა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილსა და იმერეთის მაღლობზე, მდინარე ყვირილას ორივე სანაპიროზე. მისი რელიეფი დანაწევრებულია მდინარეთა ხეობებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორია ზღვის დონიდან 90-დან 200 მეტრამდე მერყეობს, თუმცა სამხრეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებში არის ადგილები, სადაც სიმაღლე 1088 მეტრს აღწევს. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო აღმოსავლეთით ჭიათურის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით კი - ზაღდათის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი, ასევე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები: ძირულა-ხარაგაული, ზესტაფონი-ხარაგაული, ზესტაფონი-ჭიათურა და ზესტაფონი-ზაღდათი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სარკინიგზო ხაზი ხაშური-სამტრედია, ასევე რკინიგზის მონაკვეთი საჩხერის მიმართულებით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრი თბილისიდან 196 კმ-ით არის დაშორებული.

ფართობი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ფართობი - 423 კვ.კმ-ია (მხარის ფართობის /6552 კვ.კმ/ 6,4%-ს, საქართველოს მთლიანი ტერიტორიის /69700 კვ.კმ/ 0,60%-ს).

გეოგრაფია

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 17,3 ჰა დაფარულია ტყითა და ბუჩქნარით, 3,600 ჰა - მრავალწლიანი ნარგავებით. გორაკიანი ზონა დაფარულია კოლხური ტყეებით, სადაც იზრდება მებრუნისა ჯიშის ხეები: მუხა, წიფელი, კოპიტი, კაკლის ხე და სხვ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები ყვირილა, ძირულა, ჩოლაბური, ჩხერიმელა, ბუჯა და მათი შენაკადები. მდინარეებია საზრდოობენ წვიმით, თოვლით და მიწისქვეშა წყლებით. სოფელ შროშაში არის მარმარილოს კარიერი. დაბლობში ნიადაგი ალუვიულია, შემადლებულ

ადგილებში სუბტროპიკული. გორაკიანი ადგილები დაფარულია შავ-კარბონატული მიწით, რომლის ზედაპირი მეტად სქელია. მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთ ნაწილში ტყის ნიადაგია. დაბლობში კლიმატი საშუალოდ სუბტროპიკულია, ზამთარი შედარებით ცივია, ზაფხული მშრალი. წლის საშუალო ტემპერატურაა 14 გრ. ცელსუსით. იანვარის ტემპერატურაა 3,7-4,3 გრ. აგვისტოში კი 24 გრ. ნალექების რაოდენობა 1190 მმ. გორაკიან და მთიან ზონებში ტემპერატურა დაბალია. ხშირია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები, ზოგჯერ ქარი ზღვიდანაც აღწევს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები ყვირილა, ძირულა, ჩოლაბური, ჩხერიმელა, ბუჯა და მათი შენაკადები. მდინარეებია საზრდოობენ წვიმით, თოვლით და მიწისქვეშა წყლებით.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. ზესტაფონის მუნიციპალიტეტს ჰყავს პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი - მერი და 36 წევრისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო, რომლის 21 წევრი არჩეულია მაჟორიტარული, ხოლო 15 წევრი პროპორციული სისტემით.

საკრებულოს კომისიებია:

- იურიდიულ საკითხთა კომისია;
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
- კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია;
- ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია;
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

მერიის სამსახურებია:

- ადმინისტრაციული სამსახური;
- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
- სოციალური დაცვის სამსახური;
- ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახური;
- ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახური;
- განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
- შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური.
- სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს და მოსახლეობას სერვისს აწვდის ცენტრალური ხელისუფლების შემდეგი ტერიტორიული ორგანოები:


- ზესტაფონის რაიონული სასამართლო;
- ზესტაფონის რაიონული პროკურატურა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ზესტაფონის რაიონული პოლიციის სამმართველო;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, იმერეთის რეგიონული ოფისის, ზესტაფონის ფილიალი;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ზესტაფონის ტერიტორიული სამსახური;

- საქართველოს ეროვნული არქივის, ზესტაფონის რეგიონული ოფისი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს, იმერეთის რეგიონული სამმართველოს, ზესტაფონის ფილიალი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საინფორმაციო-საკონსულტაციო იმერეთის რეგიონული სამმართველო;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (დეპარტამენტის), ზესტაფონის სამმართველო;
- ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრი.

მოსახლეობა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 56,5 ათასი კაცია, მათ შორის 28,8 ათასი მამაკაცი და 27,7 ათასი ქალი. ქ. ზესტაფონში ცხოვრობს 19,8 ათასი კაცი, ხოლო სასოფლო დასახლებებში 36,7 ათასი კაცი. აღნიშნული რაოდენობიდან 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა შეადგენს 22,4 ათასი კაცი. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 19 ადმინისტრაციული ერთეულია. მუნიციპალიტეტში 60 დასახლებაა: 1 ქალაქი, 1 დაბა და 58 სოფელი .

მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის ზესტაფონის მუნიციპალიტეტი 11-ე ადგილზეა. იგი მოსახლეობით უტოლდება ისეთ მუნიციპალიტეტებს როგორცაა: წყალტუბო,მცხეთა,ბოლნისი,გურჯაანი,ხაშური, საგარეჯო, ხელვაჩაური.



გასული საუკუნის 90-ან წლებში ქვეყანაში შექმნილმა მიმიე ეკონომიკურმა ფონმა განაპირობა მოსახლეობის ინტენსიური გადინება უცხოეთში. გარდა ამისა მუნიციპალიტეტში მაღალია შიდა მიგრაციაც, როდესაც მოსახლეობის ჩამოსახლება ხდება სოფლებიდან ქალაქ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 1,5 %-ს, ხოლო, იმერეთის რეგიონის 11,4% შეადგენს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2019 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახლება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)

სულ საქართველო	3,716900 (2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)	69700 (2014 წლის 1 მარტის მდგ)
იმერეთის რეგიონი	497400(2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)	6414,7 (2014 წ 1 მარტის მდგომარეობით)
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	57600	423
პროცენტი საქართველოსთან	1,5	0,05
პროცენტი რეგიონთან	11,4	6,6

მუნიციპალიტეტში პენსიის პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 13281 ერთეულია, სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 2807 ერთეული, საარსებო შემწეობის მიმღებთა მოსახლეობის რაოდენობა 7112 ერთეული.

ეკონომიკა

საბჭოთა პერიოდში რაიონის ეკონომიკის ძირითადი სამრწველო დარგები იყო: შავი მეტალურგია, ელექტროენერგია და კვების მრეწველობა. 1933 წელს ამუშავდა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა ჭიათურის მანგანუმის ბაზაზე. ზესტაფონში მოქმედებდა კაბელების ქარხანა, ძირულას ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხანა, რომელიც ცეცხლგამძლე თიხის განტიით მუშაობდა. წითელი მარმარილო მოიპოვებოდა შრომაში. აგრეთვე ფუნქციონირებდა ხუთი ღვინის ქარხანა.

ამჟამად მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესია:

სოფლის მეურნეობის დარგებში მევენახეობა არის წამყვანი. ვენახებს 5,000 ჰა ფართობი უჭირავთ. მევენახეობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის 80%-ს. ტერიტორიის 3,600 ჰა დაფარული აქვთ მრავალწლიან ნარგავებს, ტყეებს და ბუჩქებს ეკუთვნის-17,3 ჰა; საძოვრებს უჭირავთ 8,8 ჰა. ძირითად მარცვლულს სიმინდი წარმოადგენს. რაიონში 10.000 სულზე მეტი ძროხა და 5000-ზე მეტი ღორია.

რაიონის ტერიტორიაზე გადის თბილისი -სამტრედიის და გომი -საჩხერის მაგისტრალები. კავკასიის მთავარი მაგისტრალი თბილისი სამტრედია გაივლის რაიონის ტერიტორიაზე. არის სარკინიგზო ხაზი ჭიათურა- საჩხერე.

-ზესტაფონის რაიონი ცნობილია თიხის მიწითა და მექოთნეობით;

-ზესტაფონში არის საქართველოში ელექტროენერგიის ყველაზე მძლავრი გამანაწილებელი ცენტრი.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

ზესტაფონის ტერიტორიაზე გადის თბილისი -სამტრედიის და გომი -საჩხერის მაგისტრალები. კავკასიის მთავარი მაგისტრალი თბილისი სამტრედია გაივლის ზესტაფონის ტერიტორიაზე. არის სარკინიგზო ხაზი ჭიათურა- საჩხერე.

საჯარო დაწესებულებები

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები:

დანართინ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებულებები

#	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებები	აღსაზრდელთა რაოდენობა
1	ქალაქის#1	133
2	ქალაქის#2	136
3	ქალაქის#3	87
4	ქალაქის#4	120
5	ქალაქის#5	201
6	ქალაქის#6	65
7	ქალაქის#7	91
8	ქალაქის#8	215
9	როდინაულის#9	23
10	ცხენთაროს#10	27
11	ოსვირის#11	40
12	ოსვირის#12	28
13	ოსვირის#13	47
14	ოსვირის#15	20
15	ოსვირის#16	27
16	კვალითის#17	30
17	ცხრაწყაროს#18	15
18	ცხრაწყაროს#19	16
19	კლდეეთის#20	21
20	ალავერდის#21	15
21	ტაბაკინის#22	35
22	ილმის#23	20
23	ფუთის#24	35
24	ძირულის#25	9
25	შროშის#26	25
26	ზოსლევის#28	20
27	წიფლაკის#29	7
28	მარტოთუბნის#30	15
29	დილიკაურის#31	55
30	ზედასაქარის#32	30
31	ქვ. საქარის#33	90
32	არგვეთის#34	39
33	ქვ. საქარის#35	25
34	ზოვრეთის#36	16
35	ზოვრეთის N27	25
36	ქვ. საზანოს#37	34
37	ქვ. საზანოს#38	26
38	ქვ. საზანოს#39	34
39	დაბა შორაპნის#40	54
40	დაბა შორაპნის#41	40
41	აჯამეთის#43	17
	სულ:	2008

დანართი 6. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლები

#	სკოლების დასახელება (ქალაქი, სოფელი)	სკოლების კატეგორია (საბაზისო,	ბავშვების რაოდენობა	პედაგოგების რაოდენობა
---	--------------------------------------	-------------------------------	---------------------	-----------------------

		საშუალო და სრული)		
1	№1 საჯაროსკოლა	სრული	392	30
2	№2 საჯაროსკოლა	სრული	833	53
3	№3 საჯაროსკოლა	სრული	385	32
4	№4 საჯაროსკოლა	სრული	741	56
5	№5 საჯაროსკოლა	სრული	736	57
6	№6 საჯაროსკოლა	სრული	600	42
7	№7 საჯაროსკოლა	სრული	1227	68
8	პირველი სვირის საჯარო სკოლა	სრული	99	21
9	მეორესვირის N1 საჯარო სკოლა	სრული	218	20
10	მეორესვირის N2 საჯარო სკოლა	სრული	111	20
11	დილიკაურის საჯარო სკოლა	სრული	234	24
12	ზედა საქარის საჯარო სკოლა	სრული	136	23
13	ქვედა ასაქარის საჯარო სკოლა	სრული	140	24
14	არგეთის საჯარო სკოლა	სრული	94	19
15	ზოვრეთის საჯარო სკოლა	სრული	149	20
16	ილემის საჯარო სკოლა	სრული	84	23
17	ალავერდის საჯარო სკოლა	სრული	78	21
18	კლდეეთის საჯარო სკოლა	სრული	78	22
19	ცხრაწყაროს საჯარო სკოლა	სრული	63	21
20	კვალითის საჯარო სკოლა	სრული	120	22
21	ძირულის საჯარო სკოლა	სრული	51	18
22	ქვ.საზანოს №1საჯაროსკოლა	სრული	185	26
23	ქვ.საზანოს №2საჯაროსკოლა	სრული	96	23
24	ქვ.საზანოს №3 საჯაროსკოლა	სრული	104	25
25	ტაბაკინის საჯარო სკოლა	სრული	66	19
26	შროშის საჯარო სკოლა	სრული	103	22
27	ბოსლევის საჯარო სკოლა	სრული	61	18
28	წევის საჯარო სკოლა	სრული	22	14
29	ფუთის საჯარო სკოლა	სრული	148	25
30	რკვიის საჯარო სკოლა	საბაზო	9	10
31	როდინაულის საჯარო სკოლა	საბაზო	150	39
32	ცხენთაროს საჯარო სკოლა	სრული	116	35
33	დაბა შორაპნის საჯარო სკოლა	სრული	285	38
34	„ ანაბასისი“	სრული	364	45
35	„ ორნატი“	სრული	132	32
36	„თავისუფალი სკოლა“	სრული	0	0
37	შ.პ.ს „მომავლის ბიზნეს სკოლა“	სრული	81	26
სულ			8491	1033

- 33 საჯარო სკოლა 7914 მოსწავლით და 930 მასწავლებლით
- 3 დამოუკიდებელი (კერძო) სკოლა 577 მოსწავლით და 103 მოსწავლით
- 41 სკოლამდელი დაწესებულება -1532 აღსაზრდელით
- 1 კულტურისა და შემოქმედების ცენტრი
- 3 ბიბლიოთეკა, 2 წიგნთსაცავი, სოფლად 12 განყოფილება
- 2 მუზეუმი
- 1 სამხატვრო სკოლა 70 აღსაზრდელი
- 2 სამუსიკო სკოლა 410 აღსაზრდელი
- 1 სპორტული - გამაჯანსაღებელი სკოლა. 9 სახეობის უფლება. 310 აღსაზრდელი
- 1 სპორტული სკოლა-13 სახეობის უფლება 480 აღსაზრდელი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს და მოსახლეობას სერვისს აწვდის ცენტრალური ხელისუფლების შემდეგი ტერიტორიული ორგანოები:

- ზესტაფონის რაიონული სასამართლო;
- ზესტაფონის რაიონული პროკურატურა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ზესტაფონის რაიონული პოლიციის სამმართველო;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, იმერეთის რეგიონული ოფისის, ზესტაფონის ფილიალი;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ზესტაფონის ტერიტორიული სამსახური;
- საქართველოს ეროვნული არქივის, ზესტაფონის რეგიონული ოფისი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს, იმერეთის რეგიონული სამმართველოს, ზესტაფონის ფილიალი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საინფორმაციო-საკონსულტაციო იმერეთის რეგიონული სამმართველო;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (დეპარტამენტის), ზესტაფონის სამმართველო;
- ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრი.

ღირსესანიშნაობები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 23 ისტორიული ძეგლია შემორჩენილი. მათ შორის უპირველესად აღსანიშნავია ანტიკური ხანის შორაპნის ციხე, იგივე "სარაპანისი" დაბა შორაპანში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იყო შუა საუკუნეების ნაქალაქარი. სოფლებში, რომლებიც ნაქალაქარის ტერიტორიაზე მდებარეობენ, შემორჩენილია უამრავი ისტორიული ძეგლი, მათ შორის : თამარ მეფის ხიდი ჭალატყეში, შიშხილაქედის ციხე სოფელ შიშხილაქედში, XVIII საუკუნის ტაძარი ზოვრეთში, საზანოს ციხე, "კვინწიხის გორა" და რამდენიმე ეკლესია ქვედა საზანოში. ასევე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებია: საერო ხასიათის -ნაპურადევის ციხე სოფელ მეორე სვირში,

მწყერის ციხე სოფელ ალავერდთან შემორჩენილი ისტორიული ძეგლებია: VIII საუკუნის მწყერის ციხე და XVII საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია."ციხიათას გორა" სოფელ როდინაულის ტერიტორიაზე, თვრინის ციხე სოფელ კლდეეთის ტერიტორიაზე. ციხის ნანგრევები შროშაში, "დამწვარი ციხე" დილიკაურში, V საუკუნის ციხე დილიკაურში, სამეთვალყურეო კოშკისა და ციხის ნანგრევები გაღმა ბოსლევეში, ტაბაკინის მონასტერი სასულიერო ხასიათის, ილემის ეკლესია, წევის ეკლესია, ზედა საქარის ეკლესია.

მუნიციპალიტეტში მრავლადაა განვითარებული შუა საუკუნეებსა და XIX საუკუნეში აგებული მცირე ტაძრები სოფლებში: ალავერდი, არგვეთა, აჯამეთი, დიდი განთიადი, დილიკაური, ზედა საქარა, თვრინი, მეორე სვირი, სანახშირე, საღვინე, ფუთი, ქვედა კვალითი, ქვედა საქარა, შროშა.

ბიუჯეტი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 29395.4 ათას ლარს, ეს მაჩვენებელია ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების დაახლოების ნახევარს (17944.6 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებითი ღირებულების გადასახადი რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (6984.1 ათასი ლარი), მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

თავი II

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

2019 –2024 წლებში

ათას ლარში

დასახელება	2019 ფაქტი	2020 გეგმა	2021 პროექტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
შემოსავლები	22,976.5	25,271.1	17,059.9	17,917.8	18,818.7	19,757.6
გადასახადები	13,423.2	14,707.1	15,719.9	16,499.3	17,321.6	18,186.1
გრანტები	7,368.5	9,887.9	240.0	252.0	264.6	278.8
სხვა შემოსავლები	2,184.8	676.1	1,100.0	1,166.5	1,232.5	1,292.7
ხარჯები	12,339.3	13,009.0	12,241.8	12,818.7	13,513.0	14,268.1
შრომის ანაზღაურება	2,053.6	2,061.5	2,231.4	2,354.1	2,483.6	2,640.6
საქონელი და მომსახურება	1,587.1	1,560.4	872.0	915.8	964.7	1,017.7
პროცენტი	179.4	166.8	143.5	143.5	143.5	143.5
სუბსიდიები	5,823.7	6,276.7	6,647.4	6,922.5	7,302.7	7,704.2
გრანტები	40.2	17.5	17.5	18.5	19.4	20.5
სოციალური უზრუნველყოფა	1,767.0	1,614.3	1,499.6	1,582.3	1,669.1	1,760.8
სხვა ხარჯები	888.3	1,311.9	830.4	882.0	930.0	980.8
საოპერაციო საღდო	10,637.2	12,262.1	4,818.1	5,099.1	5,305.7	5,489.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,107.9	16,117.7	4,583.9	4,832.1	5,098.9	5,379.9
ზრდა	9,721.0	16,167.7	4,633.9	4,883.6	5,152.2	5,435.3
კლება	613.1	50.0	50.0	51.5	53.3	55.4
მთლიანი საღდო	1,529.3	-3,855.6	234.2	267.0	206.8	109.6

ფინანსური აქტივების ცვლილება	1,284.8	-4,074.3	0.0	32.8	-27.4	-124.6
ზრდა	1,284.8	0.0	0.0	32.8	0.0	0.0
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1,284.8	0.0	0.0	32.8		
ვალდებულების ცვლილება	-244.5	-218.7	-234.2	-234.2	-234.2	-234.2
კლება	244.5	218.7	234.2	234.2	234.2	234.2
საშინაო	244.5	218.7	234.2	234.2	234.2	234.2

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2019-2024 წლებში

შემოსულობები

2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2022-2024 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება: საგადასახადო შემოსავლების ნაწილში 2021 წლის 1 იანვრიდან გათვალისწინებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის 1,15% განაწილება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. გადასახადების ზრდა გამოთვლილია ქვეყნის ძირითდი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მოცემული 2022-2024 წლების ეკონომიკური ზრდისა და დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით. სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას მხედველობაში იქნება მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2019 –2024 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2019 ფაქტი	2020 გეგმა	2021 პროექტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
შემოსულობები	23,589.6	25,321.1	17,109.9	17,969.3	18,872.0	19,813.0
შემოსავლები	22,976.5	25,271.1	17,059.9	17,917.8	18,818.7	19,757.6
არაფინანსური აქტივების კლება	613.1	50.0	50.0	51.5	53.3	55.4
შემოსავლები	22,976.5	25,271.1	17,059.9	17,917.8	18,818.7	19,757.6
გადასახადები	13,423.2	14,707.1	15,719.9	16,499.3	17,321.6	18,186.1
ქონების გადასახადი	4,166.0	4,000.0	4,000.0	4,193.5	4,400.5	4,618.9
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2,363.3	2,633.0	2,600.0	2,730.0	2,866.5	3,009.8

ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	23.8	17.0	15.0	17.5	18.0	18.8
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.0	15.0	13.0	15.4	15.9	16.6
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	23.8	2.0	2.0	2.1	2.1	2.2
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	124.7	80.0	80.0	82.4	85.3	88.7
ფიზიკურ პირებიდან	101.1	55.0	55.0	56.7	58.6	61.0
იურიდიულ პირებიდან	23.6	25.0	25.0	25.7	26.7	27.7
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,654.2	1,270.0	1,275.0	1,332.1	1,397.6	1,466.8
ფიზიკურ პირებიდან	137.5	70.0	75.0	72.1	74.6	77.6
იურიდიულ პირებიდან	1,516.7	1,200.0	1,200.0	1,260.0	1,323.0	1,389.2
გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე	9,257.2	10,707.1	11,719.9	12,305.8	12,921.1	13,567.2
დამატებითი ღირებულების გადასახადი	9,257.2	10,707.1	11,719.9	12,305.8	12,921.1	13,567.2
გრანტები	7,368.5	9,887.9	240.0	252.0	264.6	278.8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	26.2	0.0				
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7,342.3	9,887.9	240.0	252.0	264.6	278.8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2,078.4	1,811.1	240.0	252.0	264.6	278.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	240.0	240.0	240.0	252.0	264.6	278.8
მიზნობრივი ტრანსფერი(N27 განკ. მოსწ ტრანსპორტირება		371.1				
მიზნობრივი ტრანსფერი(N13 განკ.სკოლების რეაბილიტაცია		900.0				
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5,263.9	8,076.8	0.0	0.0	0.0	0.0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	4,335.1	7,254.8		0.0	0.0	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	822.0	822.0		0.0	0.0	0.0
სპეც ტრანსფერი 2019 წლის	-195.9	0.0				
სხვა შემოსავლები	2,184.8	676.1	1,100.0	1,166.5	1,232.5	1,292.7
შემოსავლები საკუთრებიდან	1,110.0	69.0	350.0	376.5	403.5	422.1

პროცენტები	240.7	60.0	140.0	154.5	159.9	166.3
რენტა	869.3	9.0	210.0	222.0	243.6	255.8
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	858.6	0.0	200.0	211.0	232.1	243.7
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	10.7	9.0	10.0	11.0	11.5	12.1
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	293.3	191.0	200.0	211.0	221.8	233.6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	249.8	146.0	155.0	163.5	171.9	181.2
სანებართვო მოსაკრებელი	133.7	25.0	34.0	35.9	37.8	39.7
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	1.0	1.0	1.0	1.2	1.3
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	26.0	20.0	0.0	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	90.1	100.0	120.0	126.6	132.9	140.2
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	43.5	45.0	45.0	47.5	49.9	52.4
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	43.5	45.0	45.0	47.5	49.9	52.4
ჯარიმები, სანქციები და საურავები	509.6	366.1	500.0	527.5	553.9	581.6
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	271.9	50.0	50.0	51.5	53.3	55.4
არაფინანსური აქტივების კლება	613.1	50.0	50.0	51.5	53.3	55.4
ბირთვადი აქტივები	158.7	0.0				
ფასეულობები	364.8	0.0	0.0			
არაწარმოებული აქტივები	89.6	50.0	50.0	51.5	53.3	55.4
სხვა ბუნებრივი აქტივები	89.6	50.0	50.0	51.5	53.3	55.4
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0				
საშინაო	0.0	0.0				

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2021-2024 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით

2019 –2024 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2019 ფაქტი	2020 გეგმა	2021 პროექტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
გადასახდელები სული	22304,8	29395,5	17109,9	17936.5	18899.4	19937.6
ინფრასტრუქტურის განვითარება	7714,1	14488,2	4794.9	5044.8	5308,4	5586,6
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1819,3	2249,7	1930,5	2029,2	2133,8	2244,3
განათლება	4868,9	4927,8	3010.8	3176.3	3351.1	3535.4
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2757,8	2074,1	1876,8	1884,6	1987,8	2096,9
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2094,7	2228,6	2218.5	2340.8	2469.1	2604.8
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3050,0	3427,1	3278,4	3454.7	3643.2	3863.7

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2019-2024 წ.

ორგ.კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი	175.0	157.0	85.5	90,2	95,2	100,3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6820.4	13513.3	4543,4	4793,3	5056,9	5335,1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2.3	248.6	0	0	0	0
04 00	განათლება	1583.1	1870.3	0	0	0	0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1053.7	346.7	5.0	5,2	5,5	5,8
06 00	სოციალური უზრუნველყოფა	86.5	31.8	0	0,0	0,0	0,0
	სულ	9721.0	16167.7	4633,9	4888,7	5157,6	5441,2

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
არაფინანსური აქტივების კლება	613.1	50	50	50	50	50
ძირითადი აქტივები	158.7	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
ფასეულობები	364.8	0.0	0	0,0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	89.6	50.0	50.0	50	50	50
მიწა	0	0	0	0,0	0,0	0,0

ვალდებულების ცვლილება

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
ვალდებულების ცვლილება	-244.5	-218.7	-234.2	-234.2	-234.2	-234.2
კლება	244.5	218.7	234.2	234.2	234.2	234.2

საშინაო	244.5	218.7	234.2	234.2	234.2	234.2
---------	-------	-------	-------	-------	-------	-------

2019-2020 წლების ბიუჯეტის მიმოხილვა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

2019 საბიუჯეტო წელს მუნიციპალიტეტის სასაზინო ანგარიშზე მოზიდულია 23589,5 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 23251,1 ათასი ლარისა ანუ გეგმიურის 102 პროცენტი. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლების სახით შემოსულია 13423,1 ათასი ლარი, რაც გეგმიურის (12947,3 ათ. ლარი) 103,7 პროცენტს შეადგენს. აქედან: ქონების გადასახადის სახით შემოსულია 4165,9 ათასი ლარი ანუ გეგმიურის (4100,0 ათ.ლარი) 102 პროცენტი, დამატებითი ღირებულების გადასახადი მოზიდულია 9257,2 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 8847,3 ათასი ლარისა ანუ გეგმიურის 105 პროცენტი.

გრანტების სახით შემოსულია 7368,5 ათასი ლარი, რაც გეგმიურის (7550,3 ათ.ლარი) 97,6 პროცენტს შეადგენს. აქედან: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული 26,2 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 240,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის 916,8 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი (სტიქია) 21,6 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერი 4335,1 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამების 822,0 ათასი ლარი, სტიქიის პრევენციის 196,9 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი სკოლების რეაბილიტაციისთვის 900,0 ათასი ლარი, ამბულატორიების რეაბილიტაციისთვის 105,8 ათასი ლარი. განუღდა გასული წლის სხვა კაპიტალური ტრანსფერი 79,9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები ანუ არასაგადასახადო შემოსავლების სახით მოზიდულია 2184,8 ათასი ლარი ანუ გეგმიურის (2126,0 ათასი ლარი) 104 პროცენტი. მათ შორის: დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი 240,7 ათასი ლარი ანუ გეგმიურის (201,0)134 პროცენტი, ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის მოსაკრებელი 858,6 ათასი ლარი, რაც გეგმიურის (900,0 ათ.ლარი) 95 პროცენტს შეადგენს, მიწის იჯარის შემოსავალი 10,7 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 9,0 ათასი ლარისა, სანებრთვო მოსაკრებელი 133,7 ათასი ლარი ანუ გეგმიურის (130,0 ათ.ლარი) 103 პროცენტი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 26,0 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 30,0 ათასი ლარისა, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებელი 90,1 ათასი ლარი ანუ გეგმიურის (100,0 ათ.ლარი) 90 პროცენტი, ქონების იჯარა 43,5 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 40,0 ათასი ლარისა, ჯარიმები, სანქციები და საურავები 509,6 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 500,0 ათასი ლარისა, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 271,9 ათასი ლარი ანუ გეგმიურის (215,0 ათ.ლარი) 126 პროცენტი.

არაფინანსური აქტივების კლების შედეგად შემოსულმა შემოსავალმა 613,1 ათასი ლარი შეადგინა, ნაცვლად გეგმიური 627,5 ათასი ლარის. აქედან: შემოსავალი არასაცხოვრებელი სახლების გაყიდვიდან 158,7 ათასი ლარი, შემოსულობები ფასეულობების გაყიდვიდან 364,8 ათასი ლარი, შემოსულობა არამწარმოებელი აქტივების გაყიდვიდან 89,6 ათასი ლარი.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი

2019 საბიუჯეტო წელს მუნიციპალიტეტის მიერ გახარჯულია 22304,8 ათასი ლარის ასიგნებანი, ნაცვლად გეგმიური 25844,7 ათასი ლარისა ანუ 86 პროცენტი. აქედან: ხარჯებში მიმართულია 12339,3 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 12953,3 ათასი ლარისა, გახარჯული მთლიანი ასიგნებებიდან თანხები მიემართა შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებაზე:

2.1 შრომის ანაზღაურება 2053,6 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 2136,5 ათასი ლარისა. აქედან: თანამდებობრივი სარგო 1880,9 ათასი ლარი, ჯილდო/პრემია 119,3 ათასი ლარი, დანამატი 53,3 ათასი ლარი, შრომის ანაზღაურება მთლიან ხარჯებში შეადგენს 17 პროცენტს.

2.2 საქონელი და მომსახურება 1587,1 ათასი ლარი ანუ გეგმიურის (1853,2 ათ.ლარი) 85 პროცენტს. მათ შორის: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება 185,5 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 209,3 ათასი ლარი. აქედან: ოფისის ხარჯები 180,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (218,4 ათ.ლარი) 91 პროცენტს შეადგენს, წარმომადგენლობითი ხარჯი 22,5 ათასი ლარი ანუ (28,4 ათ.ლარი) 96 პროცენტი, ტრანსპორტის დაქირავება 882,5 ათასი ლარი.

2.4 პროცენტის გადახდა საშინაო ერთეულებსა და სახელმწიფო ერთეულებზე 179,4 ათასი ლარი;

2.5 სუბსიდიები 5823,7 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 5955,2 ათასი ლარისა. მათ შორის: სხვა სექტორებს 1817,8 ათასი ლარი, სხვა სექტორებს- დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება ფულადი ფორმით 10,6 ათასი ლარი. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგო 10,5 ათასი ლარი, მივლინება ქვეყნის შიგნით 19,8 ათასი ლარი, თანამდებობრივი სარგო 3773,1 ათასი ლარი, პრემია 87,2 ათასი ლარი.

2.6 გრანტები 40,2 ათასი ლარი. მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციების 14,0 ათასი ლარი, გრანტები სხვა დონის 38,9 ათასი ლარი, აქედან :მიმდინარე 18,9 ათასი ლარი, კაპიტალური 20,0 ათასი ლარი.

2.7 სოციალური უზრუნველყოფა 1767,0 ათასი ლარი. მათ შორის: სოციალური დახმარება ფულადი ფორმით 1690,9 ათასი ლარი. აქედან: სოციალური დახმარება ფულადი ფორმით 1689,3 ათასი ლარი, სოციალური დახმარება სასაქონლო ფორმით 1,6 ათასი ლარი, დამქირავებლის მიერ გაწეული დახმარება ფულადი ფორმით 59,5 ათასი ლარი.

2.8 სხვა ხარჯები 888,2 ათასი ლარი. მათ შორის: მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 299,6 ათასი ლარი. აქედან: სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი 25,1 ათასი ლარი, მოსაკრებლები 0,2 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი 274,3 ათასი ლარი, სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი 0,1 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 588,5 ათასი ლარი.

3.1 არაფინანსური აქტივების ზრდა 9721,0 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 12646,5 ათასი ლარისა ანუ 77 პროცენტი. მათ შორის:

ძირითადი აქტივები 9621,0 ათასი ლარი;

სხვა ნაგებობები 7536,7 ათასი ლარი;

ქუჩები 2266,2 ათასი ლარი;

გზები 3983,4 ათასი ლარი;

ხიდები 56,0 ათასი ლარი;

საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები 56,0 ათასი ლარი;

ელექტრო გადაცემის ხაზები 94,4 ათასი ლარი

სხვა ნაგებობები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 1080,6 ათასი ლარი

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 374,0 ათასი ლარი , აქედან: სატრანსპორტო საშუალებები 43,9 ათასი ლარი, სხვა სატრანსპორტო საშუალებები 0,1 ათასი ლარი, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 330,1 ათასი ლარი.

საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარები, ავეჯი და აღჭურვა 168,4 ათასი ლარი. აქედან:

-ავეჯი 0,7 ათასი ლარი;

-სპორტული საქონელი 126,7 ათასი ლარი;

-მაცივარი 1,1 ათასი ლარი;

-კომპიუტერი 37,2 ათასი ლარი;

-ფოტო აპარატი 1,5 ათასი ლარი;

-ვიდეო-აუდიო აპარატურა 1,2 ათასი ლარი;

სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 161,6 ათასი ლარი.

33. ვალდებულების კლება 244,5 ათასი ლარი. მათ შორის: ვალდებულების კლება საშინაო კრედიტორებში 244,5 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

01 00 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაზე გახარჯულია 2882,8 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 3185,3 ათასი ლარისა ანუ 90 პროცენტი. მათ შორის:

2.1 შრომის ანაზღაურება 1932,1 ათასი ლარი ანუ ხარჯების (2709,8 ათ.ლარი) 71 პროცენტი.

2.2 საქონელი და მომსახურება 561,0 ათასი ლარი, რაც გეგმიურის (772,4 ათ.ლარი) 72 პროცენტს შეადგენს.

2.6 გრანტები 40,2 ათასი ლარი. მათ შორის: მიმდინარე 14,0 ათასი ლარი, კაპიტალური 25,0 ათასი ლარი, მიმდინარე გრანტი საერთაშორისო ორგანიზაციების 1,2 ათასი ლარი.

2.7 სოცულურუნველყოფის ხარჯი 59,2 ათასი ლარი. მათ შორის: დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება ფულადი ფორმით 59,2 ათასი ლარი.

2.8 სხვა ხარჯები 116,6 ათასი ლარი. მათ შორის: სხვა დანარჩენი ხარჯი 116,6 ათასი ლარი.

3.1 არაფინანსური აქტივების ზრდა 173,7 ათასი ლარი. მათ შორის: შენობა-ნაგებობები 84,2 ათასი ლარი, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 89,5 ათასი ლარი. აქედან: მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი 43,7 ათასი ლარი, სხვა სატრანსპორტო საშუალებები 0,3 ათასი ლარი, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 45,5 ათასი ლარი.

01 01 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გახარჯულია 677,2 ათასი ლარის ასიგნებანი. მათ შორის: ხარჯები 461,5 ათასი ლარი. აქედან:

2.1 შრომის ანაზღაურება 461,5 ათასი ლარი.

ა) თანამდებობრივი სარგო 452,3 ათასი ლარი

ბ) ჯილდო/პრემია 9,2 ათასი ლარი.

2.2 საქონელი და მომსახურება 74,1 ათასი ლარი. აქედან ოფისის ხარჯები 15,7 ათასი ლარი.

2.7 სოციალური უზრუნველყოფა 2,4 ათასი ლარი. აქედან: დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება ფულადი ფორმით.

2.8 სხვა ხარჯები 90,7 ათასი ლარი. აქედან: სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 90,7 ათასი ლარი.

3.1 არაფინანსური აქტივების ზრდა 48,5 ათასი ლარი. მათ შორის: სატრანსპორტო საშუალებები 43,6 ათასი ლარი. სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 4,9 ათასი ლარი.

საკრებულოში დასაქმებულთა რაოდენობა 27 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის საშუალო თვის ხელფასი შეადგენს 1424 ლარს.

0102 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ასიგნებებმა 2172,4 ათასი ლარი შეადგინა.

მათ შორის:

2.1 შრომის ანაზღაურება 1470,6 ათასი ლარი. აქედან: თანამდებობრივი სარგო 1320,4 ათასი ლარი, ჯილდო/პრემია 102,2 ათასი ლარი.

2.2 საქონელი და მომსახურება 487,1 ათასი ლარი. მათ შორის: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგო 138,2 ათასი ლარი. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ჯილდო/პრემია 12,2 ათასი ლარი.

2.6 გრანტები 7,4 ათასი ლარი. მათ შორის: გრანტი საერთაშორისო ორგანიზაციის 1,2 ათასი ლარი. გრანტი სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების 6,2 ათასი ლარი.

2.7 სოციალური უზრუნველყოფა 56,8 ათასი ლარი. მათ შორის: დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება ფულადი ფორმით 56,8 ათასი ლარი.

2.8 სხვა ხარჯები 25,9 ათასი ლარი. მათ შორის: მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 25,7 ათასი ლარი, სატრანსპორტო დაზღვევა 0,2 ათასი ლარი.

3.1 არაფინანსური აქტივების ზრდა 125,1 ათასი ლარი. მათ შორის: შენობა-ნაგებობები 84,1 ათასი ლარი, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 41,2 ათასი ლარი. აქედან: საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარები, ავეჯი და აღჭურვა 31,9 ათასი ლარი. სხვა დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არაკლასიფიცირებულია 8,3 ათასი ლარი.

დასაქმებულთა რაოდენობა 121 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის ხელფასი შეადგენს საშუალოდ 1013 ლარს.

0103 სარეზერვო ფონდი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბიუჯეტში ასახული იყო 150,0 ათასი ლარი, რომელიც საბიუჯეტო წლის განმავლობაში გაიზარდა 180,0 ათას ლარით. მიემართა ხარჯებში სულ 121,1 ათასი ლარი. მათ შორის: წყალმომარაგება 2,0 ათასი ლარი, გზების რეაბილიტაცია 119,1 ათასი ლარი, დარჩა ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 148,9 ათასი ლარი.

0105 საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტი გაიზარდა 32,8 ათასი ლარი. მათ შორის: მიმდინარე გრანტები თვითმმართველი ერთეული ა(ა)იპ-ს 12,7 ათასი ლარი, კაპიტალური 20,0 ათასი ლარი.

0202 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობაზე გახარჯულია 167,2 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 121,5 ათასი ლარი. აქედან: თანამდებობრივი სარგო 108,2 ათასი ლარი, ჯილდო/პრემია 7,8 ათასი ლარი. დანამატი 5,3 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 43,6 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 0,6 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 0,2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 1,2 ათასი ლარი. დასაქმებულთა რაოდენობა 10 სამშატო ერთეული. ერთი სამშატო ერთეულის საშუალოდ თვის ხელფასი 1012 ლარი.

0300 ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 9533,4 ათასი ლარი ანუ გეგმიურის (11890,2 ათ.ლარი) 80 პროცენტი. მათ შორის: საქონელი და მომსახურება 63,7 ათასი ლარი, პროცენტი გადახდილი საშინაო ერთეულებზე 179,4 ათასი ლარი, სუბსიდიები 1443,7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 6822,7 ათასი ლარი, ვალდებულებების კლება 244,5 ათასი ლარი.

0301 საავტომობილო ტრანსპორტი და გზების დაფინანსებაზე მიმართული იქნა 5958,7 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 7706,8 ათასი ლარისა. მათ შორის: საქონელი და მომსახურება 63,7 ათასი ლარი, გადახდილი პროცენტი სახელმწიფოსთან აღებულ ვალდებულებებზე 131,8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 5643,1 ათასი ლარი, ვალდებულებების კლება 119,5 ათასი ლარი.

030201 ა(ა)იპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის დაფინანსებამ 1732,0 ათასი ლარი შეადგინა, ნაცვლად გეგმიური 2050,9 ათასი ლარისა. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 813,2 ათასი ლარი. აქედან: თანამდებობრივი სარგო 724,0 ათასი ლარი, დანამატი 88,7 ათასი ლარი, ჯილდო/პრემია 0,5 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 916,5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 2,3 ათასი ლარი. დასაქმებულთა რაოდენობა 140 სამშატო ერთეული. ერთი სამშატო ერთეულის საშუალოდ თვის ხელფასი 484 ლარი.

ოფისის ხარჯებიდან, რომელიც 464,1 ათასი ლარია, კომუნალურ ხარჯებში მიმართულია 326,7 ათასი ლარი, ხოლო ტრანსპორტის ხარჯებში მიმართულია 433,7 ათასი ლარი, გარე ელექტროენერჯის ხარჯებში 314,9 ათასი ლარი.

030202 საკანალიზაციო სისტემების ჩამდინარე წყლების გადასამუშავებელ ხარჯებში მიემართა 85,2 ათასი ლარი ანუ პროცენტი საშინაო ვალებზე გადახდილი.

030203 ბინათმშენებლობაზე მიმართულმა ასიგნებებმა 432,2 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერები 432,2 ათასი ლარი.

030206 წყალმომარაგების ხარჯებმა 61,1 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: ხარჯები 2,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 59,1 ათასი ლარი.

030207 გარე განათებაზე მიმართულმა ხარჯმა 31,5 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა 31,5 ათასი ლარი.

030208 სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში 87,3 ათასი ლარი. მათ შორის: საშინაო ვალებზე გადახდილი პროცენტი 44,7 ათასი ლარი, ვალდებულებების კლება 42,6 ათასი ლარი.

0303 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 824,6 ათასი ლარი. მათ შორის: ხარჯები 45,1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 779,5 ათასი ლარი.

030302 სოფლის მხარდაჭერი პროგრამით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები 824,5 ათასი ლარი.

030303 ა(ა)იპ სანაშენ მუშაობისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესვის ზესტაფონის ცენტრი 14,0 ათასი ლარი. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო 6,4 ათასი ლარი, სხვა ხარჯი 6,8 ათასი ლარი, პრემია 0,8 ათასი ლარი.

0304 საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო- ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება 307,2 ათასი ლარი. მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა 307,2 ათასი ლარი.

0400 განათლების დონისპიებები 4868,9 ათასი ლარი. მათ შორის: ხარჯები 3285,8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 1583,1 ათასი ლარი.

0401 ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფინანსურმა ასიგნებებმა 2511,2 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 1802,7 ათასი ლარი. აქედან: თანამდებობრივი სარგო 1764,3 ათასი ლარი, დანამატი 38,4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 605,2 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 11,1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 92,2 ათასი ლარი. დასაქმებულთა რაოდენობა 455 სამშატო ერთეული, ერთი სამშატო ერთეულის საშუალო თვიური ხელფასი შეადგენს 330 ლარს. წლის განმავლობაში კვების ხარჯებმა სულ შეადგინა 367,8 ათასი ლარი. საბიუჯეტო წელს ბავშვთა გამტარიანობამ 1235 ბავშვი შეადგინა. დღიური კვების ღირებულებამ 1,79 ლარი.

0402 ზოგადი განათლების ხელშეწყობაზე მიმართულია 1567,3 ათასი ლარი. მათ შორის: ხარჯები 866,7 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 860,1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 700,6 ათასი ლარი, სუბსიდია 5,3 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 1,3 ათასი ლარი.

0403 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია- მშენებლობის დაფინანსებამ 790,4 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა 790,4 ათასი ლარი.

0500 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებზე გახარჯულია სულ 2757,8 ათასი ლარი. მათ შორის: საქონელი და მომსახურება 58,8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 1057,4 ათასი ლარი, სუბსიდია 1534,1 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 111,2 ათასი ლარი.

0501 სპორტის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება 1621,0 ათასი ათასი ლარი. მათ შორის: საქონელი და მომსახურება 15,6 ათასი ლარი, სუბსიდია 595,8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 995,5 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 14,1 ათასი ლარი.

050101 მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში მიმართულია 26,0 ათასი ლარი. მათ შორის:

საქონელი და მომსახურება 10,0 ათასი ლარი, სუბსიდია 1,9 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 14,1 ათასი ლარი.

050102 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ს. საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლის ასიგნებებმა 273,4 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 191,8 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 81,6 ათასი ლარი. აქედან, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 52,3 ათასი ლარი. დასაქმებულთა რაოდენობა 40 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის საშუალო თვის ხელფასი 400 ლარი.

050103 ა(ა)იპ ზესტაფონის მ. სალაძის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის ხარჯებმა 322,6 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 335,7 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 84,8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 2,1 ათასი ლარი, საკუთარი შემოსავლები 62,4 ათასი ლარი. აქედან, შრომის ანაზღაურება 17,3 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 30,0 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 14,9 ათასი ლარი, დასაქმებულთა რაოდენობა 51 სამტატო ერთეული, ერთი ერთეულის საშუალო თვის ხელფასი 413 ლარი.

050106 დასვენებისა და სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა-მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 993,4 ათასი ლარი.

0502 კულტურის განვითარების ხელშეწყობა 959,7 ათასი ლარი. მათ შორის: საქონელი და მომსახურება 34,7 ათასი ლარი, სუბსიდირება 857,1 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 5,9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 62,0 ათასი ლარი.

03 01 02	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია	0.0	410.6	419.7	442.8	467.1	492.8
03 01 03	კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0.0	234.2	103.1	108.2	114.2	120.5
03 01 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0.0	15.8	10.8	11.4	12.0	12.7
03 02	მყარი ნარჩენების მართვა (ნაგავმზიდები)	87.3	134.1	126.2	126.2	126.2	126.2

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	02 01		4614.9	19953.1
პროგრამის განმახორციელებელი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური			
პროგრამის აღწერა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის			

	ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. საჭიროა ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, შესაკეთებელი და სარეაბილიტაციო სანიაღვრე არხები.					
მიზანი, მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა					
მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1					

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები და მდინარეზე ნაგვის დამკერის მოწყობა. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაცვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,249.7	1,930.5	2,029.2	2,133.8	2,244.3
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	2,115.6	1,804.3	1,903.0	2,007.6	2,118.1
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,455.0	1,270.7	1,340.6	1,414.3	1,492.1
03 01 02	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია	410.6	419.7	442.8	467.1	492.8
03 01 03	კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	234.2	103.1	108.2	114.2	120.5
03 01 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	15.8	10.8	11.4	12.0	12.7

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანას			2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 01 01				1270.7	5517.7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების ცენტრი					
პროგრამის აღწერა	<p>ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარეხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 5 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ზედა საქარა, ქვედა საქარა, ქვედა საზანო, სასახლე, დილიკაური, რკვია, ბოსლევო, პირველი სვირი (ნაწილობრივ), მეორე სვირი (ნაწილობრივ), არგვეთა, შროშა, სადგურ სვირი, როდინაული, ცხენთარო, აჯამეთი, ფუთი, ძირულა, ზოვრეთი, თვინი, წითელი მიწა, სადვინე, კვალითი, ცხრაწყარო, კლდეეთი, ტაბაკინი, ალავერდი, შროშა, დაბა შორაპანი. ზარის მეთოდის გამოყენებით ვემსახურებით ნაწილობრივ სოფლების და ქალაქის კერძო დასახლებულ უბნებში მცხოვრებ მოსახლეობას 4 ერთეული თვითმცვლელი ავტომანქანის საშუალებით. შეგროვებული ნარჩენები გადის თერჯოლის ნაგავსაყრელზე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 150მ/კუბნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 5 ნაგავმზიდი.</p> <p>ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით ნაგავსაყრელებზე დამატებით გადის 15-20 მ/კუბნარჩენი. პროგრამიდან ასევე ფინანსდება მდინარე სუფსაზე არსებული ნაგავჩამკეტის გაწმენდითი სამუშაოები, პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავსა(ა)იპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოვები, მძღოლები, მუშები დასხვა) ხელფასებს.</p>					
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქის ზესტაფონის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები .					
მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი ნარჩენების რაოდენობა	არსებული მონაცემებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 150 მეტ.კუბი ნარჩენი, რასაც ზაფხულის სეზონზე ემატება	არსებული მოცულობით გაგრძელდება ყოველდღიურად 150 მეტ.კუბი ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან. ზაფხულის	10% - წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, განგარიშება გაკეთებულია წინაწლების მაჩვენებლების მიხედვით	გატანილი ნარჩენის მოცულობების სიდიდე დაკავშირებული იქნება დამსვენებლების რაოდენობაზე

		ასევე 20მ/კუბი ნარჩენი	სეზონთან დაკავშირებით კი დამატებით მოხდება 20 მეტ/კუბი ნარჩენების გატანა		
2	ყოველდღიურა დნარჩენებისგან დაცლილი ურნებისრაოდენობა	გასულ პერიოდში ყოველდღიურად ხორციელდებოდა 520 ურნის გაცლა	არსებული მოცულობით გაგრძელდება ნარჩენების ურნების დაცლა და ყოველდღიურად მოხდება 520 ურნის დაცლა	10% - წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, გაანგარიშება გაკეთებულია წინაწლების მარჯვენა მხედვით	
3	დაზიანებული დაშეკეთებული ურნების რაოდენობა წლის განმავლობაში	გასულ პერიოდში საშუალოდ წელიწადში შეკეთება უტარდებოდა 130 ცალ ურნას	2020 წელს შეკეთდება 160 ცალი ურნა	10% - წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, გაანგარიშება გაკეთებულია წინა წლების მარჯვენა მხედვით	შესაკეთებელი ურნების რაოდენობის ზრდა გამოწვეულია ურნების ამორტიზაციით

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება (ათასლარში)	დაფინანსება 2021-2024 წლებზე (ათასლარში)
	03 01 02		419.7	1822.4
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების ცენტრი			
პროგრამის აღწერა	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოსშექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული არეგანათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარეგანათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარეგანათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისთვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარეგანათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ზესტაფონში და 13 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარეგანათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარეგანათების სისტემა მოიცავს 3717 ზემეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ზომს, 6715-ზე მეტ სანათ წერტილს, 73341 ვოლტამპერზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 282,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.</p> <p>პროგრამა შედგება 1 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; - გარეგანათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის მომსახურების ხასიათის. მომსახურების ნაწილი - გარეგანათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი. <p>2020 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარეგანათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან.</p> <p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარეგანათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ზესტაფონში, ასევე 13 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარეგანათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p>			

	<p>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწვობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული დადაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. პროგრამა ასევე მოიცავს გარეგანათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას.</p> <p>გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარეგანათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიები 80%.</p>					
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარეგანათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარეგანათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარეგანათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარეგანათებით.</p>					
<p>მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი</p>	<p>#</p>	<p>ინდიკატორის აღწერა</p>	<p>საბაზისო მაჩვენებელი</p>	<p>მიზნობრივი მაჩვენებელი</p>	<p>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</p>	<p>განმარტება</p>
	1	<p>გარეგანათების წერტილების რაოდენობა</p>	<p>6715 ცალი</p>	<p>8000 ცალი</p>	<p>10%</p>	<p>მიზნობრივი მაჩვენებლით მოცემული სანატიწერტილების რაოდენობა სრულად მოიცავს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიას</p>
	2	<p>წლის განმავლობაში შეკეთებული სანათების რაოდენობა</p>	<p>საშუალოდ ხდება წლის განმავლობაში 1050 ცალი</p>	<p>1200 ცალი</p>	<p>10%</p>	<p>შესაკეთებელი სანათების რაოდენობის ზრდა უკავშირდება ქსელის დაძველებას (ამორტიზაციას)</p>
	3	<p>წლის განმავლობაში შეკეთებული, გამოცვლილი ბოძების რაოდენობა</p>	<p>საშუალოდ ხდება წლის განმავლობაში 30 ცალი</p>	<p>45 ცალი</p>	<p>10%</p>	<p>შესაკეთებელი ბოძების რაოდენობის ზრდა უკავშირდება ქსელის დაძველებას (ამორტიზაციას)</p>
	4	<p>წლის განმავლობაში შეკეთებული სადენების რაოდენობა</p>	<p>2020 წელს შეიცვალა 4840 გრძივიმეტრი</p>	<p>5350 გრძივიმეტრი</p>	<p>10%</p>	<p>ქსელი საჭიროებს მეტი სადენის შეცვლას</p>
	5	<p>გარეგანათების წერტილების რაოდენობა</p>	<p>6897 ცალი</p>	<p>7017 ცალი</p>	<p>2-3%</p>	<p>- სანატი წერტილების რაოდენობის ზრდა განხორციელდება მოკლე მანძილებზე მოსახლეობის მოთხოვნით მიხედვით</p>

	6	შეკეთებული სანათების რაოდენობა	საშუალოდ ხდება წლის განმავლობაში 80 ცალი	120 ცალი	10% - წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, გაანგარიშება გაკეთებულია წინაწლების მაჩვენებლების მიხედვით	შესაკეთებელი სანათების რაოდენობის ზრდა უკავშირდება ქსელის დაძველებას (ამორტიზაციას)
	7	შეკეთებული,გამოცვლილი ბოძების რაოდენობა	საშუალოდ ხდება წლის განმავლობაში 45 ცალი	70 ცალი	10% - წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, გაანგარიშება გაკეთებულია წინა წლების მაჩვენებლების მიხედვით	შესაკეთებელი ბოძების რაოდენობის ზრდა უკავშირდება ქსელის დაძველებას (ამორტიზაციას)
	8	შეკეთებული სადენების რაოდენობა	2020 წელში შეიცვალა 4840 გრძივიმეტრი	2021 წელში შეიცვალა 5350 გრძივიმეტრი	0%	ქსელი საჭიროებს მეტი სადენის შეცვლას. 5350 გრძივიმეტრი შეიცვალა არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათასლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათასლარში	
	03 01 03		103.1	447.8	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების ცენტრი				
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა დასაჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 9 საშტატო ერთეულისა და ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასების დაფინანსება.</p>				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელებითი სამუშაოები.				
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)

	1	გაცელილი ტერიტორიის ფართობი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (რამდენიმე ეტაპად)	2020 წელს გაიცელა 90000 კვ/მეტრი	2021 წელში გაიცელა 95000 კვ/მეტრი	10%
--	---	--	----------------------------------	-----------------------------------	-----

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები			2021 წლის დაფინანსება ათასლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათასლარში
	03 01 04				10.8	46.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების ცენტრი					
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა					
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები					
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
	1	გაყვანილი მაწანწალა ძაღლების რაოდენობა	2020 წელს განხორციელდა 100 მაწანწალა ძაღლის გადაყვანა თავშესაფარში	2021 წელს განხორციელდა 130 მაწანწალა ძაღლის გადაყვანა თავშესაფარში	10% - დათვლილია წინა წლების მაჩვენებლიდან გამომდინარე	

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	4,927.8	3,010.8	3,176.3	3,351.1	3,535.4
04 01	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	2,619.3	2,971.5	3,134.9	3,307.4	3,489.3
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა	553.1	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	16.3	39.3	41.4	43.7	46.1
04 04	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	430.5	0.0	0.0	0.0	0.0

პროგრამის დასახელება	კოდი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2971,5	12903,1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება			
პროგრამის აღწერა	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ბაღების გაერთიანების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 41 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 2070-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 152 აღმზრდელი და 363 შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი.</p> <p>„სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p>			

	<p>ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების მატერიალურ ტექნიკური ზაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p>				
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2070-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 55%-ს შეადგენს</p>				
<p>შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<p>#</p>	<p>ინდიკატორის აღწერა</p>	<p>საბაზისო მაჩვენებელი</p>	<p>მიზნობრივი მაჩვენებელი</p>	<p>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</p>
	<p>1</p>	<p>ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის</p>	<p>ზესტაფონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ნაწილობრივ დაცულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის II და III ნაწილილები.</p>	<p>საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები თანმიმდევრულადაა დანერგილი ზესტაფონის მუნიციპალურ ბაგამაღებში. კერძოდ,</p>	<p>10% - დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებულია და სააღმზრდელო პერსონალი საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის შეძენას (ამაღლებას)</p>

	<p>დაცუ ლობა 2018 წლის განმავ ლობა ში ი სასწავ ლო სააღმ ზრდე ლ ო დარგ ში მთავა რი სპეცი ალის ტი ს მიერ მონი ტორი ნგ ის განხო რციე ლე ბა.</p>	<p>აქედან: II ნაწილი განსაზღვრავს 2-დან 3 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტებს; III ნაწილი განსაზღვრავს 3-დან 5 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტებს და 5-6 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტს. 2017 წლის განმავლობაში ახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად მუშაობა არ მიმდინარეობდა. სტანდარტის შესაბამისი პროგრამით მუნიციპალიტეტის ბაგაბაღები მუშაობას შეუდგა 2018 წლის სექტემბრიდან და გრძელდება დღემდე აღნიშნული მონიტორინგების შედეგად დადებითი დასკვნები დადებული იქნა 70% შემთხვევაში, ხოლო შესაბამისი რეკომენდაციები და მითითებები იქნა გაცემული დაახლოებით 30 % ფარგლებში.</p>	<p>სტანდარტის II და III ნაწილებით განსაზღვრულ კონტიგენტზე ბავშვების განვითარებასთან (აღზრდა-განათლების) ერთად მეტი ყურადღება დაეთმო თემატურ მიმართულებებზე მუშაობას, მათ შორის: თამაშით სწავლების უპირატესობას, ხელოვნებას, წიგნიერებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ვფიქრობთ, 2020-2021- 2022-2023 წლების განმავლობაში აღნიშნული მონიტორინგი ჩაუტარდება საბავშვო ბაღის აღმზრდელთა 100 %, შეცვლებით მაქსიმალურად დაუზღოვდეს თითოეული მათგანი ხარისხის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და მოთხოვნებს კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი დადგენილი ნორმების შესრულება. იმ დაწესებულებებში სადაც მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე აუცილებელია 3 ძირითადი (საუზმე, სადილი, ვახშამი) კვება, ხშირ შემთხვევებში ბავშვების ასევე აქვთ ნორმებით განსაზღვრული წახემსება. მეტი ყურადღება ექცევა კვების ორგანიზების ჰიგიენური ნორმების დაცვას, მათ შორის: კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და სურსათის მომზადების მოთხოვნებს</p>	<p>10% -დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებულია და სააღმზრდელი პერსონალი საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის შემენას (ამაღლებას) და ბაგა-ბაღები სტანდარტის შესაბამისი რესურსებით აღჭურვას.</p>
--	--	--	---	---

2	კვების ორგანიზების ადარაციონის კვებითი ღირებულებების და ცხელბის ნორმების ორმეზის და ცხელბის ნორმების და ცხელბის ნორმების	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვებისათვის განკუთვნილი კვებითი ღირებულების ნორმები სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილების მოთხოვნებს კვების რეჟიმით განსაზღვრულ ყველა პირობასთან მიმართებაში. კერძოდ, ყოველდღიურად 3 ძირითადი (საუზმე, სადილი, სამზარი.) კვებასთან ერთად 1 წახემსება (პირველი წახემსება საუზმესა და სადილს შორის. („დილის“)	გაუმჯობესებულია კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი დადგენილი ნორმების შესრულება. იმ დაწესებულებებში სადაც მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე აუცილებელია 3 ძირითადი (საუზმე, სადილი, ვახშამი) კვება, ხშირ შემთხვევებში ბავშვების ასევე აქვთ ნორმებით განსაზღვრული წახემსება. მეტი ყურადღება ექცევა კვების ორგანიზების ჰიგიენური ნორმების დაცვას, მათ შორის: კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და სურსათის მომზადების მოთხოვნებს	10% - დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებულია და სააღმზრდელო პერსონალი საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის შეძენას (ამაღლებას)	
3	პროგრამის ხარისხის სტანდარტის	ზესტაფონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ნაწილობრივ დაცულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ბავშვის	მთავრობის მიერ დადგენილი ბავშვის პროგრამის ხარისხის სტანდარტი უკეთესადაა დანერგილი ზესტაფონის	10% -დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებულია და სააღმზრდელო პერსონალი საჭიროებს შესაბამისი	

		დაცუ ლობ	<p>აღზრდისა და განათლების სტანდარტის II და III ნაწილილები. აქედან: II ნაწილი განსაზღვრავს 2-დან 3 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტებს; III ნაწილი განსაზღვრავს 3-დან 5 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტებს და 5-6 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტს.</p> <p>2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად მუშაობა არ მიმდინარეობდა. სტანდარტის შესაბამისი პროგრამით მუნიციპალიტეტის ბავშვებს მუშაობას შეუდგა 2018 წლის სექტემბრიდან და გრძელდება 2019 წელშიც.</p> <p>აღნიშნული მონიტორინგების შედეგად დადებითი დასკვნები დადებული იქნა 70% შემთხვევაში, ხოლო შესაბამისი რეკომენდაციები და მითითებები იქნა გაცემული დაახლოებით 30 % ფარგლებში. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვებისათვის განკუთვნილი კვებითი ღირებულების ნორმები სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილების მოთხოვნებს კვების რეჟიმით განსაზღვრულ ყველა პირობასთან მიმართებაში. კერძოდ, ყოველდღიურად 3 ძირითადი (საუზმე, სადილი, სახვარი.) კვებასთან ერთად 1 წახემსებას (პირველი წახემსება საუზმესა და სადილს შორის. („დილის“)</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში</p>	<p>მუნიციპალურ ბავშვებსში. კერძოდ, ფიზიკური გარემო შექმნილია ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, მკაფიოდ და დაცული პროცედურები თითოეული ბავშვისა და თანამშრომლის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მედიკამენტების საჭიროების თუ სხვა შემთხვევებში. ბავშვებს გააჩნია ინფექციური დაავადებების გავრცელების შემთხვევები, მექანიზმები, კონკრეტულად ქვეყანაში გავრცელებული წითელასა და წითურასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილია აცრებით, თითოეული აღსაზრდელი და ა (ა)იპის ყველა მუშაკი. უზრუნველყოფილია თითოეული ბავშვის პირადი ჰიგიენის ნორმები. აღსაზრდელთა 50% დასვენებისა და ძილის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. დაწესებულებაში აღმზრდელ პედაგოგები ხელმძღვანელობენ სტანდარტით გათვალისწინებული მითითებებით. გარემო არის უსაფრთხო, კომფორტული, დაცული, მაგრამ ნაწილობრივ უზრუნველყოფილი ეზოს გასართობი სათამაშოებით</p>	<p>კვალიფიკაციის შეძენას (ამაღლებას) და ბავშვებს სტანდარტის შესაბამისი რესურსებით აღჭურვას.</p>
--	--	-------------	--	--	---

			<p>ნაწილობრივ დაცულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ხარისხის სტანდარტი. კერძოდ, უსაფრთხოება და დაცულობა, კურიკულიუმი და მეთოდოლოგია, ფიზიკური გარემო, ურთიერთობა, საგანმანათლებლო პროცესი, ოჯახისა და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება.</p>	
--	--	--	---	--

პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში	
	04 03		39,6	170,5	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა მოიცავს: ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას; საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა ფასიანი საჩუქრებით წახალისებას; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას.</p>				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება.</p>				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1				0%

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2,074.0	1,876.8	1,884.6	1,987.8	2,096.9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	882.9	698.4	736.9	777.4	820.1
05 01 01	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში (სპორტის ღონისძიება)	18.3	50.0	52.7	55.7	58.7
05 01 02	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ს. საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა	256.6	288.4	304.3	321.0	338.7
05 01 03	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ. სალამის სახ.სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი	325.0	350.0	369.3	389.6	411.0
05 01 04	ტურიზმი	0.0	10.0	10.6	11.1	11.7
05 01 05	დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის , მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხელშეწყობა	283.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,022.9	1,003.4	1,053.0	1,110.7	1,171.6
05 02 01	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა	55.7	55.7	58.7	61.9	65.3
05 02 02	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა	157.8	157.8	161.2	170.1	179.4
05 02 03	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი	372.7	362.7	382.6	403.6	425.8
05 02 04	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება	65.8	66.1	69.7	73.5	77.5
05 02 05	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ. ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა	164.5	174.5	184.1	194.2	204.9

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
05 02 06	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა	129.6	135.4	142.8	150.6	158.9
05 02 07	მეგლთა დაცვა	3.0	2.1	2.2	2.3	2.5
05 02 08	იუბილეებთან დაკავშირებული ხარჯები	24.0	24.9	26.2	27.6	29.0
05 02 09	კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა	43.1	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 10	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	6.7	24.2	25.5	26.9	28.3

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მომსახურება დასვენება სპორტის სფეროში	დაფინანსება	2021-2024
			2021	
	05 01 01		50,0	217.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, მეგლთა დაცვის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; ღვაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული სპორტსმენების დასაჩუქრება; ქვეყნის შიგნით, სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების მივლინება (კვება, ტრანსპორტი, დამოსვენება)</p> <p>საზღვარგარეთ სპორტულ შეჯიბრებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების მივლინების დაფინანსება.</p> <p>წარმატებული სპორტსმენების საწვრთნელ ვარჯიშებზე შეკრებების დაფინანსება. (ე.წ. ზბორები)</p> <p>პროექტები: ხსოვნის ტურნირები: კრივში, ჭიდაობაში, ფეხბურთში, ფარიკაობაში. მუნიციპალიტეტის პირველობა ჯეხბურთში, ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში, ტურნირი ჭადრაკში, კალათბურთში, მართაონი.</p> <p>პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		<p>ქვეყნის წარმატებული სპორტსმენების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით. მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებაში. სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა.</p> <p>მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ-მასწავლებლები და ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენები. პრიზიორთა რაოდენობა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე. სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სიმონ საყვარელიძის სპორტული სკოლა			2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02				288.4	1252.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სიმონ საყვარელიძის სპორტული სკოლა					
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტულ სკოლას აერთიანებს 13 სპორტულ მიმართელებას, ესენია: ქართული ჭიდაობა (34 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (48 ბავშვი); რაგბი (85 ბავშვი); კარატე (12 ბავშვი); ჭადრაკი (42 ბავშვი); ჭიდაობა ძიუდო (42 ბავშვი); ჭიდაობა ძიუდო გოგონები 14 ბავშვი); ჭიდაობა სამზო (53 ბავშვი); კიკბოქსინგი (42 ბავშვი); კრივი (39 ბავშვი); ველოსპორტი(8 ბავშვი); ფარიკაობა (36 ბავშვი); სულ სპორტულ სკოლაში სპორტის სახეობებს ეუფლება 480 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ სკოლაში დასაქმებულია ჯამში 37 ადამიანი, მათ შორის, 13 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 24 მწვრთნელი. სპორტული სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.					
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
	1	სპორტულ ცენტრში არსებული სპორტის სახეობების რაოდენობა	ფუნქციონირებს სპორტის 13 სახეობა	2021 წელს შენარჩუნებული იქნება 13 სპორტის სახეობა	5%	
		ბავშვების რაოდენობა	480 სპორტსმენი	2021 წელს მინიმუმ შენარჩუნდება ბავშვების არსებული რაოდენობა	5% - დამოკიდებულია მომართვიანობაზე	
		სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	2020 წელს 6 თვეში სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს 20 -მდე სპორტულ ღონისძიებაში	2021 წელს სკოლოს აღსაზრდელები მონაწილეობას მიიღებენ არანაკლებ 600 სპორტულ ღონისძიებაში	5%	
		სპორტული შეკრებების რაოდენობა		2021 წელს ჩატარდება არანაკლებ 3 შეკრება	5%	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა) იპ ზესტაფონის მ.სალამის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი	2021-წლის დაფინანსება	
-------------------------	------	--	-----------------------	--

	05 01 03		ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში	
			350.0	1519.9	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ ზესტაფონის მ.სალადის სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი				
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტული ცენტრი აერთიანებს 9 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (120 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (9 ბავშვი); ბავშვის მანძის ჩოგბურთი (31 ბავშვი); კარატე (30 ბავშვი); კალათბურთი (40 ბავშვი) და გოგონათა კალათბურთი (15 ბავშვი) ჭიდაობა ძიუდო(30), ფრენბურთი(15), ხელბურთი(20). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 310 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 34 ადამიანი, მათ შორის, 16 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 18 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ლეზულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; ქვეპროგრამის მიზანია: - 1. ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - 2. მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - 3. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	სპორტულ ცენტრში არსებული სპორტის სახეობების რაოდენობა	ფუნქციონირებს სპორტის 9 სახეობა	2021 წელს შენარჩუნებული იქნება 9 სპორტის სახეობა და დაემატება სპორტის 2 ახალი სახეობა	5%
	2	ბავშვების რაოდენობა	310 სპორტსმენი	2021 წელს მინიმუმ შენარჩუნდება ბავშვების არსებული რაოდენობა და გაიზარდება ბავშვების რაოდენობა	5% - დამოკიდებულია მომართვიანობაზე
	3	სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	2020 წელს სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს 54-მდე სპორტულ ღონისძიებაში	2021 წელს სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას მიიღებენ არანაკლებ 70 სპორტულ ღონისძიებაში	5%
4	სპორტული შეკრებების რაოდენობა	2020 ჩატარდა 4 სპორტული შეკრება	2021 წელს ჩატარდება არანაკლებ 5 შეკრება	5%	

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა) იპ სამხატვრო სკოლა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		55,7	241.9
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა			

პროგრამის აღწერა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი, მათ შორის 4 ტექნიკური პერსონალი და 6 პედაგოგი, მოსწავლეთა კონტიგენტი განისაზღვრება 78 მოსწავლით, სკოლაში ისწავლება სხვა და სხვა დისციპლინები, ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ქანდაკება, დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, გობელინი					
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	1) სამხატვრო განათლების მისაღებად შესაბამისი გარემოს შექმნა 2) დაწყებითი სამხატვრო განათლების მიცემა ბავშვებისთვის					
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	მოსწავლეთა რაოდენობა	78	78	5% - გაანგარიშება გაკეთებულია წინა წლების მაჩვენებლების მიხედვით	
	2	მოწვობილი გამოფენებისა და შემეცნებითი ღონისძიებების რაოდენობა			5% - გაანგარიშება გაკეთებულია წინა წლების მაჩვენებლების მიხედვით	
	3				5% - გაანგარიშება გაკეთებულია წინა წლების მაჩვენებლების მიხედვით	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათასლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათასლარში
	05 02 02		157.8	668,5

ქვეპროგრამი სგანმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა				
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის 18 ბიბლიოთეკაშიწიგნის ფონდი შეადგენს 171967ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 6265 მოსახლე. დაფინანსება 5,0 ათასილარი.</p> <p>ცენტრალური ბიბლიოთეკა მასში შემავალი სოფლის განყოფილებებით წარმოადგენს საინტერესო და მიზიდაველ ადგილს საზოგადოებრივი თავშეყრისას, აქ იკრიბებიან ყველა თაობის ადამიანები, იღებენ განათლებასა და ახალ ინფორმაციებს. აქ ხდება შეხვედრები სხვადასხვა დარგის მუშაკებთან, რაიონის ხელმძღვანელობასთან. ბიბლიოთეკა ხელს უწყობს ახალგაზრდობის სწორად ინფორმირებას. ახორციელებს ბავშვებსა და ახალგაზრდობაზე ორიენტირებულ პროგრამებს.</p>				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მკითხველთა რაოდენობის გაზრდა და მათთვის კომფორტული გარემოს შექმნა.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორისაღწერა	საბაზისომაჩვენებელი	მიზნობრივიმაჩვენებელი	ცდომილებისმაჩვენებელი (%/აღწერა)
	1	ბიბლიოთეკებში მკითხველთა რაოდენობა	6265	7056	10%
		ელექტრონულ კატალოგში ასახული წიგნების რაოდენობა	-----	75000	
		სულ წიგნადი ფონდი	53000	-----	
		171967	500		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი			2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03				362.7	1574.9
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი					
პროგრამის აღწერა	<p>კულტურისა და შემოქმედების ცენტრი აერთიანებს, შემდეგ შემოქმედებით კოლექტივებს: სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ზესტაფონი“ (43 კაცი), ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჯავარდენი“ ლოტბარი, ქორეოგრაფი და ორი აკომპანიმატორი (80 ბავშვი); ხალხური საკრავების სტუდია (20 ბავშვი), საბავშვო თეატრ-სტუდია „იმერეთის მარგალიტები“, რეჟისორი, სცენარისტი, მხატვარ-დეკორატორი, სცენის მემანქანე, თოჯინების თეატრი-რეჟისორი, მხატვარი, ხმის ოპერატორი და 4 მსახიობი, მომღერალ ქალთა ანსამბლი-ლოტბარი და ანსამბლის წევრები 11, ცენტრის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს შეადგენს 19 კაცი. წლის განმავლობაში შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად მონაწილეობენ, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ</p>					
